9-15 მარტი, 1995 წ. ● №8 (10919)
ფასი 600 რუბლი, ან 200 000 კუპონი.

# პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ჭადრაკში





სანკტ-პეტერბურგის მატჩი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესა და ჟუჟა პოლგარს შორის შეიძლება „სპრინტერული" შეჯიბრებების რიცხვს მივაკუთვნოთ. აქ, ცხადია, დაზვერვის დრო აღარ არის — ყოველ შეხვედრას თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

პირველი და მეორე პარტიები ქართველი მოჭადრაკის ინიციატივით აღინიშნა. პირველ შეხვედრაში, რომელშიც პოლგარი თეთრებით თამაშობდა, მისმა მწვრთნელებმა აშკარად ვერ გამოიცნეს ჩიბურდანიძის მიერ არჩეული დებიუტი — ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთი წყნარი ვარიანტი. სწორედ ამის შედეგად იყო, რომ თეთრებმა ვერავითარი უპირატესობა ვერ მიიღეს. მაიამ კი გაათანაბრა პოზიცია და, დიდი ცდის გარეშე, მუდმივი ქიშით შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ეს, ცხადია, შავებით კარგი შედეგი იყო.

როგორც მაიას მწვრთნელმა, დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა ტელეფონით საუბრისას გვითხრა, მეორე პარტიის შედეგი ნამდვილად გულდასაწყვეტი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ დებიუტი (ძველინდური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი) კვლავ ჩიბურდანიძის უპირატესობით წარიმართა. მაიამ დასაწყისიდანვე შეწირა ფიგურა ორ პაიკში და ძლიერი მუქარები შექმნა. მიტელშპილისათვის უნგრელს უკვე მძიმე პოზიცია ჰქონდა. მაიამ კიდევ ერთი შეწირვა განახორციელა, დათმო ლაზიერი, რომლის სანაცვლოდ ეტლი, კუ და ორი პაიკი მიიღო. აი შემდგომ ბრძოლაში კი ჩიბურდანიძეს უკვე შეცდომა მოუვიდა, პოლგარმა, რომელიც ჯიუტად იცავდა თავს, თანდათან შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ყაიმს მიაღწია.

აი რა გვითხრა, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ვაჟა შუბლაძემ:

— მესამე პარტიის წინ ცნობილი გახდა, რომ პოლგარს, რომლის ბანაკში აქამდე დიდოსტატი ლევ ფსახისი და უმცროსი და იუდითი იყვნენ, ახლა კიდევ ერთი სერიოზული მოკავშირე ეყოლება. ეს გახლავთ რუსეთის ახლანდელი ჩემპიონი, 18 წლის პიოტრ სვიდლერი, რომელსაც ჩინებული თეორეტიკოსის რეპუტაცია აქვს. რა თქმა უნდა, ამას არ შეიძლება მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა მივანიჭოთ, მაგრამ...

მესამე პარტიის შედეგზე უნდა ვიფიქროთ, მეორე პარტიამ იმოქმედა. სპორტული კანონია: როცა აშკარა უპირატესობას ვერ გამოიყენებ, მეტოქე თავის შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებს. მაიამ ლაზიერის გამბიტის იმავე ვარიანტს მიმართა, რომელიც პირველ შეხვედრაში გამოიყენა, პოლგარმა ამჯერად სულ სხვაგვარად ითამაშა, გაცვალა შავუჯრედოვანი კუ, თუმცა რაიმე უპირატესობა არ მიუღია. ამასთან იგი მეტოქეზე მეტსაც ფიქრობდა.

საინტერესო, ტაქტიკური შესაძლებლობებით სავსე, მაგრამ ობიექტურად თანაბარ პოზიციაში მაიას სერიოზული შეცდომა მოუვიდა და ერთბაშად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ პოზიციის დაცვა უკვე შეუძლებელი იყო. შავებმა დაკარგეს ხარისხი და დათმეს ბრძოლა.

მეოთხე პარტიაც (მაია თეთრებით თამაშობდა) უნგრელმა დიდოსტატმა მოიგო. როცა გაზეთის ეს ნომერი დასაბეჭდად მომზადდა, ანგარიში იყო 3:1 პოლგარის სასარგებლოდ.

ბივი გამრეკელი



# სიხარული ბევრი მოგვანიჭა, ერთი ოცნება კი აუხდენელი დარჩა

ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ რამდენი ჩემპიონიც არის, იმდენი გზაა მათი აღიარებისთვის. ამიტომაცაა ყოველი ჩემპიონი საგანგებოდ ინდივიდუალური, ერთადერთი და განუმეორებელი.

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ივანე ბოგდანს ჩვენს თანამემამულეზე როსტომ აბაშიძეზე ნათქვამი აქვს: „ბრძენი მოჭიდავე იყო. შეეძლო მეტოქისათვის მოეხვია თავს საკუთარი ტაქტიკა, ნება-სურვილი, შეეძლო თავისი ზრახვების დაფარვაც. ყველამ იცოდა, რომ მოგვერდის უბადლო ოსტატი იყო, რასაც, ბუნებრივია, ერიდებოდნენ, მაგრამ მაინც, თითქმის ყველა ეგებოდა ანკესზე". ამ, ერთი შეხედვით უბრალო დახასიათების მიღმა დიდი სპორტსმენის მთელი ცხოვრებაა.

როსტომ აბაშიძეს სამი მწვრთნელი ჰყავდა და ამდენივე გამორჩეული მეტოქე.

ბათუმში აკაკი მიმინოშვილმა ჯერ სრულიად „გაუხედნავ" როსტომს დამოუკიდებლად აზროვნება ასწავლა. ეს დიდი გამარჯვება იყო. შენი პირველი მწვრთნელი ჭიდაობაა, ეუბნებოდა იგი ყმაწვილს. მასზე უპირველესი სარბიელზე არავინაა. მე ილეთს გიჩვენებ, ჭიდაობა კი თვითონ გასწავლის ამ ილეთის შესრულებისა და გამოყენების ტექნიკას. მთავარია ჭიდაობა გიყვარდეს და მისი დაუფლების სურვილი გქონდეს. დიდებული ნათქვამი იყო, თანაც განსხვავებული, რომელიც, რა დასამალია და, ამსხვრევდა ტრადიციულ წარმოდგენას ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობაზე.

თბილისში რომ ჩამოვიდა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, ვარჯიში გიორგი როს-

იხ. მე-2 გვ.

სურათზე: როსტომ აბაშიძე (ზემოთ) ატარებს ილეთს.

საქართველოსა და გერმანიის ეოკების პრეზიდენტების შეთანხმებით ჩვენი ოლიმპიელები წვრთნას გაივლიან გერმანიის ოლიმპიური მზადების ცენტრებში. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის 14 წარმომადგენელი ამჟამად რაინლანდშია, ზაარლანდში ჩავიდა 7 მოკრივე, 4 ჩოგბურთელი და ნინო სალუქვაძე მწვრთნელთან (მამა) ერთად. მალე ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე გერმანიაში ძიუდოისტები და ძალოსნებიც გაემგზავრებიან.

# გერმანელებთან მატჩს ინგლისელები იმსაჯებენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან შეგვატყობინეს, რომ 29 მარტის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს საქართველოსა და გერმანიის ეროვნულ ნაკრებებს შორის მოემსახურებიან ინგლისელი მსაჯები: არბიტრი — მარტინ ბოდენჰემი, გვერდითი მსაჯები — ს. ბენეტი, რ. პერსონი. სათადარიგო მსაჯი — ს. ლაჯი.

# უეფა: „ევრო-ტოტო"-ზე — 1, სულ — 4

როგორც ვიუწყებოდით, უეფას ეგიდით წლეულს (ივნისი-ივლისი) პირველად ეწყობა „ევრო-ტოტოს" მიერ დაწესებული „ფეხბურთის საერთაშორისო თასის" გათამაშება. ვინაიდან მასში მონაწილეობის სურვილი 200-მდე კლუბმა გამოთქვა, უეფამ თავისი კლასიფიკაციით თითოეული ქვეყნისთვის კვოტები დააწესა.

ამ ტურნირში ოთხ-ოთხი კლუბით წარსდგებიან საფრანგეთი და გერმანია; სამ-სამით — ინგლისი, ბელგია, პორტუგალია; ორ-ორით — ავსტრია, ჰოლანდია, საბერძნეთი, ბულგარეთი, დანია, ისრაელი, პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი, შვეიცარია, შვეცია, შოტლანდია; თითო-თითო ადგილი გამოეყოთ ბელარუსს, უნგრეთს, საქართველოს, ირლანდიას, ისლანდიას, კვიპროსს, ლუქსემბურგს, მალტას, ნორვეგიას, სლოვაკეთს, სლოვენიას, უელსს, ფარერის კუნძულებს, ფინეთს, ხორვატიას, ჩეხეთს, ესტონეთს. ერთი სარეზერვო ადგილი დაუტოვეს იუგოსლავიას, თუ ზაფხულისთვის ამ ქვეყანას ნებას დართავენ ევროტურნირებში მონაწილეობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ადგილს გადასცემენ ლიტვას ან სომხეთს. ლიტველებს აქვთ კიდევ ერთი შანსი, თუკი უეფა ერთ ადგილს „წაართმევს" შოტლანდიას. ევროპის რვა ქვეყანა არ მიიღებს მონაწილეობას „ევრო-ტოტოს" ამ გათამაშებაში: ესპანეთი, იტალია, რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, ლატვია, ალბანეთი და ჩრ. ირლანდია.



„ფეხბურთის საერთაშორისო თასის" ტურნირის ორი გამარჯვებული გუნდი ავტომატურად ჩაებმება 1995-96 წლების უეფას თასის გათამაშებაში.

მაშასე, მართალია, „ევრო-ტოტოზე" საქართველოს ოთხი კლუბის ჩართვას ველოდით, უეფამ კი მხოლოდ ერთი ადგილი „გაიმეტა", მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც კარგია: ჩვენი სამი კლუბი ხომ სხვა ევროტურნირებში (ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი, უეფას თასი) იასპარეზებს.

ჯემალ ჭიპაშვილი

## რა ხდება ქვეყანაზე

● 1995 წლის ბოლოს მთელ მსოფლიოში საზეიმოდ აღნიშნავენ ფრენბურთის 100 წლისთავს. ამასთან დაკავშირებით პარიზში „ბერსის" სპორტის სასახლეში მოეწყობა მსოფლიოს ჩემპიონების ორი გალა მატჩი იტალიის ვაჟთა და კუბის ქალთა გუნდების მონაწილეობით. მათი მოწინააღმდეგეები იქნებიან დანარჩენი მსოფლიოს საუკეთესო ფრენბურთელთაგან დაკომპლექტებული გუნდები.

● ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპისათვის მზადების დროს ფრანგმა ნიკოლა ჟან-პროსტმა ობერსდორფის ტრამპლინის ახალი რეკორდი დაამყარა — დასძლია 193 მეტრი.

● ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის განცხადებით „ფორმულა-1"-ის ეტაპი ყველაზე პოპულარული სანახაობაა მსოფლიოში. ეს განცხადება ფედერაციამ გაამაგრა შემდეგი მონაცემით: გრან-პრის 16 ეტაპს შარშან, ცისფერ ეკრანზე თვალს ადევნებდა 45 მილიარდი ტელემაყურებელი. გენერალური მდივანი ამას ხსნის იმით, რომ მოხერხდა ტელეკამერების დამაგრება სარბოლო მანქანებზე.

● მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა საგზატკეცილო ველოსპორტში იტალიელმა ჯანი ბუნიომ ესპანელი მიგელ ინდურაინისა და შვეიცარიელი ტონი რომინგერის მსგავსად გადაწყვიტა ბედი სცადოს ერთსაათიან რბოლაში და შეუტიოს მსოფლიოს რეკორდს. ამ მიზნით იგი სავარჯიშოდ გაემგზავრა კოლუმბიაში. პარალელურად, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა მას ადგილობრივი ტრასების შემოწმება დაავალა. საქმე ისაა, რომ რვა ოქტომბერს კოლუმბიის მაღალმთიანეთში სტარტს აიღებს პროფესიონალთა მსოფლიოს ჩემპიონატი.

● ცნობილმა რუმინელმა სიმაღლეზე მხტომელმა ქალმა გალინა ასტაფეიმ როგორც იქნა აისრულა წადილი და გახდა გერმანიის მოქალაქე. ამან თავის მხრივ, მას საშუალება მისცა მიიღოს შეჯიბრებებში მონაწილეობა გერმანიის სახელით. პირველი სტარტი ახალ „როლში" შედგება დახურულ შენობაში ბარსელონის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

● გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ვალტერ ტრეგერის განცხადებით, მის ქვეყანას უახლოეს მომავალში არ შეეძლება ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა. პრეზიდენტის აზრით, ჯერ საჭიროა ქვეყნის გაერთიანებასთან დაკავშირებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება და მერე ოლიმპიადაზე ფიქრი.

● მსოფლიოს რეკორდსმენი ცურვაში, ამერიკელი ჯეფ როუზი მომხრეა, რომ დოპინგის მიღებისათვის სპორტსმენი მაქსიმალურად მკაცრად დაისაჯოს. მან მოითხოვა დისკვალიფიკაციის ვადის გაზრდა ოთხ წლამდე, რაც მოცურავისთვის, ფაქტობრივად, კარიერის დასასრულის ტოლფასი იქნება.

რა ხდება ქვეყანაზე

# გიორგი ეგნატაშვილი — 110

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია და ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია 16 მარტს აკადემიის საკონფერენციო დარბაზში ატარებენ გიორგი ეგნატაშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს.

დასაწყისი 13 საათზე.

## როსტომ აბაშიძე



ბერძნულ-რომაული (ადრე კლასიკური) ჭიდაობა, ქვემძიმე წონა.

დაიბადა 1935 წლის 23 თებერვალს ბათუმში.

სპორტის დამსახურებული ოსტატი (1960 წ.).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1959 წ.)

სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1950 წ.

მწვრთნელები — აკაკი მიმინოშვილი, გიორგი როსტიაშვილი, პეტრე იორდანიშვილი.

სპორტული მიღწევები:

1956 წ. სსრკ ხალხთა I სპარტაკიადა — III ადგილი

1957 წ. ახალგაზრდობის III მეგობრული სპორტული თამაშები — I ადგილი

1957 წ. სსრკ ჩემპიონატი — I ადგილი

1958 წ. მსოფლიოს ჩემპიონატი — I ადგილი

1958 წ. სსრკ ჩემპიონატი — III ადგილი

1960 წ. სსრკ ჩემპიონატი — I ადგილი

1962 წ. მსოფლიოს ჩემპიონატი — I ადგილი

1963 წ. მსოფლიოს ჩემპიონატი — I ადგილი

1963 წ. სსრკ ხალხთა III სპარტაკიადა — V ადგილი

1964 წ. ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები — V ადგილი

# სიხარული ბევრი მოგვანიჭა, ერთი ოცნება კი აუხდენელი დარჩა

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე).

ტიაშვილთან განაგრძო. აქ სხვა დონე დახვდა, სხვა დამოკიდებულება საქმისადმი.

როსტიაშვილს იმ დროს ახალი დანებებული ჰქონდა თავი ჭიდაობისთვის და ძველი ინერციით ერთთავად ხალიჩაზე ტრიალებდა. უკეთეს სპარინგ-პარტნიორს კაცი ვერც ინატრებდა, მით უფრო, რომ როსტიაშვილი მკაცრი, მომთხოვნი და სამართლიანი მშრომელი იყო. ამ ურთიერთობამ როსტომ აბაშიძე პროფესიონალ მოჭიდავედ ჩამოაყალიბა. აქედან ჩემპიონობამდე არც ისე დიდი გზა იყო გასავლელი.

მერე სავსებით განსხვავებულ ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი ყველა მოჭიდავის პაპად წოდებულ პეტრე იორდანიშვილთან. იგი უდიდესი შინაგანი ძალისა და ტაქტის კაცი იყო, იუმორით ალსავსე, რომელიც ყოველ სიტყვაში რჩევაში, წინადადებაში ორმაგ აზრს სდებდა. შეუჩვეველ ყურს მისი შენიშვნების მნიშვნელობა არ ესმოდა, მოჭიდავემ კი მშვენივრად იცოდა რას ნიშნავდა, მაგალითად, „ნუ გაქვს პირი დაღებული", „ნუ გძინავს", „ტვინი გაანძრიე" და ა.შ.

როსტომ აბაშიძეს მეტოქეებშიც „სწყალობდა ბედი" იმ მხრივ, რომ ყველანი საგანგებოდ გამორჩეული ფალავნები იყვნენ და დღემდე მაგალითად შემორჩნენ მსოფლიო ჭიდაობის ისტორიას. მათგან სამნი — უნგრელი გურიჩი, თურქი ათლი და რუმინელი მარტინესკუ ჭიდაობის ჭეშმარიტი დიდოსტატები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, როსტომის სამივე დიდი გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატებში მათთან დამოკიდებულების გარეშე არც აღიქმევა და ალბათ ფასსაც დაკარგავდა.

გურიჩს ქართველებში არ სწყალობდა ბედი — უფრო სწორად ამ დიდებულ მოჭიდავეს ქართველმა ფალავნებმა გაუმწარეს ცხოვრება. ჰელსინკში, ოლიმპიურ თამაშებზე ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იყო და ალბათ მიაღწევდა კიდეც სასურველ მიზანს გზად რომ დავით ციმაკურიძეს არ გადაყროდა. სამი წლის შემდეგ ბედი კლასიკურ ჭიდაობაში სცადა, მაგრამ იქ გურიჩი გივი კარტოზიას კიდევ უფრო რთულ წინააღმდეგობას წააწყდა და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა. ისევ სამ წელიწადს მოუხდა ლოდინი მორიგ მსოფლიო ჩემპიონატამდე. ამ ხნის მანძილზე, პროფილაქტიკის მიზნით, წონაც შეიცვალა და უფრო ზედა კატეგორიაში — ქვემძიმეში გადაინაცვლა. მაგრამ იქაც, მისდა საუბედუროდ, ურთიერთობის გარკვევა კიდევ ერთ ქართველ მოჭიდავესთან — როსტომ აბაშიძესთან მოუხდა. ეს აშკარა ბედისწერა იყო. როსტომისა და გურიჩის შეხვედრა ამ უკანასკნელის მშობლიურ ბუდაპეშტში გაიმართა. გურიჩი, ბრძოლებში დაბრძენებული ფალავანი იყო, აბაშიძე — მსოფლიო ჩემპიონატების დებიუტანტი. მაგრამ, უნგრელმა ვერც ამჯერად დასძლია „ქართული ბარიერი", — ფინალური შეხვედრა სამი ქულის სხვაობით დათმო.

შეუპოვარ უნგრელს ერთხელ მაინც გაუღიმა ბედმა. ეს მოხდა 1961 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იოკოჰამაში, სადაც ბრწყინვალე სტილით მოიგო ოქროს მედალი. მაგრამ იმ წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში როსტომ აბაშიძე არკადი ტკაჩოვმა შეცვალა...

მეორე გამორჩეული მეტოქე ისმეთ ათლი გახლდათ, ასევე „გაწამებული" ქართველებისგან, რომელმაც მხოლოდ ერთხელ გაილაღა თავისუფლად და რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მანამდე კი ხან გივი კარტოზიას უვლიდა გვერდს, ხან გოგი სხირტლაძეს, ერთხელ ალექსანდრე მედვედმა გადაუღობა გზა უმაღლესი ჯილდოსკენ, მეორედ კი, 1962 წელს ტოლედოს (აშშ) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, როსტომ აბაშიძემ. თურქებს ქართველ ფალავანზე საკმაოდ ზუსტი და ამომწურავი დოსიე ჰქონდათ შედგენილი. ათლიმ, მაგალითად, იცოდა, რომ ტოლედომდე აბაშიძე სამჯერ შეხვდა შვედ რუნე იანსონს და სამივე ბრძოლა ფრედ დაამთავრა. მაგრამ ერთხელ, როცა აუცილებელი იყო შვედის დამარცხება... როსტომმა ამოცანა ბრწყინვალედ გადაწყვიტა, თანაც საკმაოდ ეშმაკური ტაქტიკის წყალობით: ვითომ ეშინოდა მეტოქის, ბრძოლას გაურბოდა, არ უნდოდა გართულებებზე წასვლა. ამით ზედმეტად ფრთხილი მეტოქის ყურადღება მოადუნა წამით და სწორედ ამ ერთ წამში გადამწყვეტი „დარტყმა" მიაყენა.

ათლიმ ისიც იცოდა, რომ რუმინელ ნიკოლაე მარტინესკუსთან როსტომი სხვა ტაქტიკით იბრძოდა — თავიდანვე გადადიოდა შეტევაზე, გამოჰყავდა წონასწორობიდან და ერთხელ ამ ტაქტიკამ წმინდა გამარჯვებაც კი მოუტანა უდავოდ ძლიერ და ღირსეულ ოპონენტთან.

ათლისთან ასეთი ფოკუსები არ გადიოდა, მით უმეტეს, რომ იგი არც იანსონს ჰგავდა და არც მარტინესკუს. ათლი ფიზიკურად ძლიერი, რაინდული სულის, უშიშარი მოჭიდავე იყო. გრძელი მკლავების წყალობით მუდამ მეტოქესთან კონტაქტში შესვლას ცდილობდა, უყვარდა ხელჩართული ბრძოლა და ნაკლებად ფიქრობდა თავდაცვაზე. როსტომს ხელჩართული ბრძოლა, ცხადია, ხელს არ აძლევდა. თურქი მოჭიდავის დაღლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო — ათლის სამი კაცის სამყოფი ენერგია ჰქონდა. ამიტომ რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი — ეშმაკობა. თურქი უნდა დარწმუნებულიყო თავის უპირატესობაში, მოედუნებინა სიფხიზლე და დაეშვა რაიმე შეცდომა. მოაზროვნე კაცს არ უჭირს სხვისი შეცდომის შემჩნევა და მისი ეფექტურად გამოყენება. როსტომი სწორედ ასეთი მოაზროვნე მოჭიდავე იყო. მაგრამ ათლი მხოლოდ ერთხელ თუ შეცდებოდა, ამიტომ ამოცანა ერთობ რთული გახლდათ — მომენტი არ უნდა გაეშვა ხელიდან.

... ბრძოლის დაწყებიდან ხუთიოდე წამი იყო გასული, რომ როსტომმა მეტოქეს ხელი წაავლო მკლავში, ღონივრად დაიქნია, დააკარგვინა წონასწორობა და ბრძოლა ჯერაც რომ არ იყო დაწყებული, მეტოქე ჩოქბჯენში გადაიყვანა. ათლი შეეცადა მაშინვე გამოესწორებინა მდგომარეობა და... თქვენ წარმოიდგინეთ, მეორედაც შეცდა (რაც ძნელი დასაჯერებელი იყო), რისი მიზეზითაც ხიდურზე აღმოჩნდა. ასეთ „საჩუქარს" როსტომი, ბუნებრივია, ხელიდან არ გაუშვებდა და სულ მალე მეტოქე ბეჭებზე დააწვინა.

მესამე მეტოქე — რუმინელი მარტინესკუ როსტომივით ფრთხილი და დაკვირვებული მებრძოლი იყო. შეუცდომლად გრძნობდა მეტოქის ჩანაფიქრს. კონტაქტში შესვლას ერიდებოდა, თუმცა ხალიჩიდანაც არ გარბოდა, მუდამ მეტოქეზე მეტს მოძრაობდა და შეტევის სრულ იმიტაციას ქმნიდა.

... ჭიდაობა დაწყებულიც არ იყო, რომ როსტომმა ხელი ჩაავლო მარტინესკუს მკლავში, ჩააშტერდა თვალებში და ზურგი შეაქცია. რომელი ჭკუათმყოფელი იტყოდა უარს ასეთ საჩუქარზე? მარტინესკუმ სცადა მეტოქის მოგვერდზე წამოღება, მაგრამ როსტომი მზად იყო ამისათვის, ილეთი „დახურა" და რუმინელი ჩოქბჯენში გადაიყვანა. აი ეს გახლავთ მაღალი ოსტატობის ნიმუში: კონტრილეთი მეტოქის მიერ წამოწყებულ ილეთზე, რომელსაც საჭიდაო ლოგიკის თანახმად, მარტინესკუსთვის წარმატება უნდა მოეტანა. ეს შეხვედრა აბაშიძემ მოიგო ანგარიშით 5:2 და მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ალბათ ჰქონდა მორალური უფლება ეფიქრა მშვიდ ცხოვრებაზე. მაგრამ მაშინ ერთი ოცნება აუხდენელი დარჩებოდა. არადა, განა მოიძებნება ისეთი ჩემპიონი, სურვილი რომ არ ჰქონდეს გამოსცადოს თავისი თავი, შნო, მარიფათი ოლიმპიურ სარბიელზე? როსტომ აბაშიძე უახლოვდებოდა ცხოვრების მთავარ მიზანს, როცა მოულოდნელად ბოტკინით დაავადდა.

ამ ავადმყოფობას, მოგეხსენებათ, ხანგრძლივი და სპეციალური მკურნალობა სჭირდება. საავადმყოფოდან გამოსულმა ინტენსიური წვრთნა დაიწყო. იგი ხან მთებში დადიოდა, ხან ზღვის ნაპირზე ისვენებდა. ჩვეულებრივი დატვირთვა, სპარინგ-პარტნიორები, დილით პარკში სირბილი, დღის მეორე ნახევარში მომქანცველი კროსები. არავითარი დათმობა, არავითარი შეღავათი. თუმცა, ეს კი იყო — საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიიღო. მწვრთნელთა საბჭომ ასე ინება, ნაკრებში პირველ ნომრად ჩარიცხა და ტოკიოს ოლიმპიადაზე გაამგზავრა.

ოლიმპიურ სარბიელზე ოთხი შეხვედრა გამართა. ორი მათგანი — იუგოსლაველ პეტარ ცუციჩთან და შვედ პერ სვენსონთან ფრედ დაამთავრა. მოულოდნელი იყო ფრე საშუალო კლასის იუგოსლაველ მოჭიდავესთან, მაგრამ როგორ შეიძლებოდა იმ წელს როსტომის რამეში გამტყუნება? ორი ბრძოლა უნგრელ ფერენც კიშთან და შვეიცარიელ პეტერ იუტცელერთან დამაჯერებლად მოიგო. მაგრამ ექვსმა საჯარიმო ქულამ „დაახრჩო" და ისე, რომ არც ერთი ბრძოლა არ წაუგია, მეხუთე ადგილზე გავიდა.

ერთი ოცნება ცხოვრებაში აუხდენელი დარჩა, სამაგიეროდ, რამდენი სიხარული მოგვანიჭა?

ნოდარ ბუზუშვილი

## სპორტული თბილისი

### კრივი

ვერის პარკში „შევარდენის" კრივის სკოლაში არ წყდება პაექრობები რინგზე. ამჯერად გაგაცნობთ დედაქალაქის ჭაბუკთა პირველობაზე (1977-78 წ.წ.) გამარჯვებულებს: 48 კგ. როსტომ ფილიევი, 54. არჩილ ბროლაძე, 57. კონსტანტინე ხოჯავა (ყველა — „მართვე"), 60. ლადო ტურაშვილი („შევარდენი"), 63, 5. ირაკლი ჭინჭარაული („მართვე"), 67. ზურაბ ბაზაძე („შევარდენი"), 71. იონა ფალიანი, 75. თემურ ქრისტესიაშვილი (ყველა — „მართვე"), 81. როლანდ მირზოიანი („შევარდენი").

თბილისის სპორტკომიტეტს მხარში ამოუდგა ძალისმიერ სპორტის სახეობათა ცენტრი (პრეზიდენტი სოსო დოლიძე), რომელმაც დარბაზის ქირის ხარჯები გაიღო.

### მძლეოსნობა

თბილისის ღია პირველობა. მონაწილეობდა 185 ათლეტი. ასპარეზობის ძირითადი მიზანი გახლდათ წლეულს, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეებისათვის (ბრიტანეთი, ქ. ბათი, 9-14 ივლისი) კანდიდატების შერჩევა.

საუკეთესო შედეგები: სიგრძეზე ხტომა. დავით ჯიჭონაია — 660 სმ. მარგარიტა ლომიძე — 518. ბირთვი. მიხეილ კულაძე — 15,50. რბენა — 50 მ. ირინა ძებისაშვილი — 6,8. 150 მ. დავით ნიკოლაიშვილი — 17,7. ლეილა საფაროვა — 19,6. „შევარდენის" ხელმძღვანელობამ და მძლეოსნობის სასახლემ მოასპარეზეებს უსასყიდლოდ დაუთმეს თავისი მანეჟი. ფედერაციის მსაჯთა კოლეგიამ კი შეჯიბრება უსასყიდლოდ ჩაატარა.

### ჭადრაკი

**დამთავრდა თბილისის 1995 წლის საჭადრაკო ჩემპიონატი ქალთა შორის, რომელიც შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა 7 ტურად.**

იმის მიუხედავად, რომ შეჯიბრებაში არაერთი გამოცდილი მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის საერთაშორისო ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია, სრული წარმატება ახალგაზრდებს ხვდათ წილად.

6-6 ქულით I-II ადგილები გაიყვეს რუსუდან გოლეთიანმა და ლილე ცალუღელაშვილმა. საინტერესოა, რომ ისინი 15-15 წლისანი არიან. ორივეს თბილისის ჩემპიონის წოდება მიენიჭა. გარდა ამისა, გოლეთიანმა და ცალუღელაშვილმა მიიღეს ფულადი ჯილდოები — 55-55 ათასი მანეთი თითოეულმა.

5,5 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს ოსტატმა სოფიკო ტერელაძემ და იამზე თვაურმა.

* * *

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა 20 წლამდე გოგონების ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირი. 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ნინო ხურციძემ. ინგა ხურცილავა მას ნახევარი ქულით ჩამორჩა: მსოფლიო პირველობაზე გაემგზავრებიან ნინო ხურციძე, ინგა ხურცილავა და ნატო ეძგვერაძე, ევროპის პირველობაზე კი საქართველოს ღირსებას დაიცავენ ხურციძე და ხურცილავა (ინფორმაცია მოგვაწოდა დიანა დარჩიამ).

## შალვა ნოზაძის ხსოვნას

„შევარდენის" ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკური ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლამ ჩაატარა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის შალვა ნოზაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. გამარჯვებულები: 48 კგ. გ. გიგაური, 52. დ. ლეჟავა, 57. კ. დობორჯგინიძე. 62. ვ. კოლუაშვილი. 68. ბ. ჭილლაძე. 74. რ. მინდორაშვილი. 82. ჟ. ჯორბენაძე. 90. ვ. ვახტანგიშვილი. 100. გ. გოგნაძე.



## იაპონელებთან გამოცდაზე

კარატე-დო შიტო-რიუს ცნობილი იაპონელი ოსტატები, ამას წინათ, მოსკოვში ჩავიდნენ. ვიზიტის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში მცხოვრები კარატისტების ატესტაცია. საქართველოდან შავი ქამრის II დანი მიენიჭა თემურ გიგნაძეს, მალხაზ ჭუმბურიძეს, დემურ კურატიშვილს და არტურ მალხასიანს. შავი ქამრის I დანით შეფასდა ავთანდილ ჭუმბურიძის, გელა ახალაძის, მიხეილ ტეტუნაშვილის, ირაკლი დაშნელის, დავით დოდელიას, კობა ცერცვაძის და 13 წლის სერგო ბონდარენკოს ოსტატობა. ჩვენი მოსკოველი თანამემამულეები ჯონი ტუდინოვი და გოგი თოთიბაძე კი შავი ქამრის III დანის მფლობელები გახდნენ.

შემდეგ ჩატარდა მოსკოვის ღია ჩემპიონატი. აქ გიგნაძე მესამე იყო პირადულ კუმიტეში. ჩვენებს გუნდურ (გიგნაძე, ახალაძე, ჭუმბურიძე) კუმატეშიც III ადგილი ხვდათ. შიტო-კაის წარმომადგენლებს საქართველოდან კი II გუნდური ადგილი ხვდათ.

# მეოთხედფინალისა და ზოგიერთი სხვა რამის შესახებ

6 მარტს გაიმართა საქართველოს თასის მეხუთე გათამაშების პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები ფეხბურთში:

„დინამო" (ბათუმი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 3-1

„დინამო" (ზუგდიდი) — „გურია" (ლანჩხუთი) 4-1

„ქიზიყი" (წნორი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2-6

„სამტრედიას" უნდა ემასპინძლა თბილისის „დინამოსთვის". წლევანდელი გათამაშების ლიდერთა შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, ამიტომ „ლელომ" საგანგებოდ მიავლინა სამტრედიას თავისი საფეხბურთო მიმომხილველი. ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი გაწბილებული მაყურებლისგან მან შეიტყო, რომ მატჩი არ შედგებოდა, თბილისში, სფფ-ში მისვლისას ჟურნალისტს განუმარტეს, რომ „სამტრედიის" ფეხბურთელებს გრიპის ეპიდემია შეყრიათ და მატჩი 10 მარტისთვის გადაუტანიათ. შეგახსენებთ, მეოთხედფინალის დანარჩენი განმეორებითი შეხვედრებიც ამ დღეს გაიმართება.

ამასობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა თბილისის „დინამოში". მხოლოდ სამთვენახევარი „გაძლო" კლუბში მთავარმა მწვრთნელმა სერგო კუტივაძემ. არაოფიციალური წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ მის ადგილს „კვიპროსელი" დავით ყიფიანი დაიკავებს, გუნდი დატოვა აგრეთვე გიორგი ქინქლაძემ: იგი არგენტინის კლუბ „ბოკა ხუნიორსში" გააგრძელებს თავის კარიერას. სავარაუდოა, რომ ქინქლაძე დიდხანს არ გაჩერდება არგენტინაში და უკვე შემოდგომით დაიცავს მადრიდის „რეალის" ღირსებას. მაშასე, ბოლო ოთხი თვის მანძილზე თბილისის „დინამოდან" ლეგიონერთა რიგები უკვე შეავსეს: გიორგი ქინქლაძემ, რევაზ, არჩილ და შოთა არველაძეებმა, გელა ინალიშვილმა, მურთაზ შელიამ, ზაზა რევიშვილმა, ნიკა ჩხეიძემ, ოთარ კორღალიძემ. მალე, ალბათ, ამ სიას დაემატებიან გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი და გიორგი ნემსაძე (ეს უკანასკნელი მძიმე ტრავმის შემდეგ ამ დღეებში შეუდგება ვარჯიშს).

## ანატოლი ნორაკიძე



დიდად სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ 27 თებერვალს: ამ დღეს, დილით, გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის ამაგდარი მოღვაწე, სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ვეტერანი ფეხბურთელი, ღვაწლმოსილი და გამორჩეული ადამიანი, ანატოლი (გოგა) ლევანის ძე ნორაკიძე. 65 წლისა წავიდა ცხოვრებიდან კაცი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართულ ფეხბურთს, მის განვითარებასა და აღმავლობას, მის სრულყოფასა და წინსვლას. წავიდა სრულიად მოულოდნელად და ანაზდად, მაშინ, როცა ჯერ კიდევ შემოქმედებითი აღმავლობისა და სრულყოფის გზაზე იდგა, როცა ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა ჩაფიქრებული და შესასრულებელი.

გოგა ნორაკიძეს ფართო საზოგადოებრიობა იცნობდა როგორც საუკეთესო ფეხბურთელს, შესანიშნავ მწვრთნელსა და აღმზრდელს, თაობათა და თაობათა პრაქტიკულ მასწავლებელს და გზის გამკვლევს. იგი დაიბადა ოჩამჩირეში, აქ ეზიარა ფეხბურთს, თამაშობდა ჯერ ჭაბუკთა, მერე მოზრდილთა გუნდებში, გამოდიოდა სოხუმის „დინამოში", 1951-52 წლებში იყო თბილისის „სპარტაკის" შუამარბი, 1953-57 წლებში თბილისის არმიელთა გუნდის შემადგენლობაშია, მერე კი, 1958 წლიდან — თბილისის „დინამოში". ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ეს ქერათმიანი ფორვარდი, რომელიც მინდორზე გამოირჩეოდა კორექტულობით, ელეგანტურობით, უტყუარი ტაქტიკური ალღოთი, კომბინაციური, ორიგინალური აზროვნებით და მახვილგონივრულობით. 1961 წლიდან მწვრთნელის საქმიანობას შეუდგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა ქუთაისის „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ა. ნორაკიძის მეთაურობით ქუთაისელ ფეხბურთელთა კოლექტივი ერთ-ერთ მოწინავედ იქცა 1961-68 წლებში.

ამინ, მის ნამოღვაწარს, ამინ, მის მამულიშვილურ, კეთილ საქმეებს!

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,
საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი,
„ლელოს" რედაქცია.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა მასალა, რომელიც ეხებოდა ფეხბურთში საქართველოს VI ჩემპიონატის მეორე წრის წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობას. გარკვეული შეშფოთება გამოითქვა პირველი ჯგუფის ორი ბინადრის, კახეთის რეგიონის გუნდების ყვარლის „დურუჯისა" და თელავის „კახეთის" შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. ვშიშობდით, რომ ისინი ველარ გააგრძელებდნენ ჩემპიონატში გამოსვლას. საგანგაშო მდგომარეობამ გვაიძულა ადგილებზე შიგვევლინა ჩვენი თანამშრომელი. აი, რა დასკვნა გააკეთა მან ყვარლისა და თელავის რაიონების გამგებლებთან როსტომ ნიორაძესა და დავით სავანელთან საუბრის შემდეგ:

რაიონებში ფეხბურთის განვითარება მთლიანად დამოკიდებულია მის მიმართ გამგეობათა თავმჯდომარეების დამოკიდებულებაზე. თუ რაიონის პირველ პირს უყვარს ფეხბურთი, გუნდები შექმნილ ეკონომიკურ სიძნელეებს თავს ართმევენ, თუ არა და...

თელავისა და ყვარლის რაიონებს თავკაცობდნენ ისეთი პიროვნებები, რომლებსაც ფანატიკურად უყვარდათ ფეხბურთი და ძალიან სურდათ თავიანთი გუნდები უძლიერესთა რიგებში ეხილათ. მიზნის მისაღწევად, სამწუხაროდ, არასწორი გზა შეარჩიეს. ფეხბურთელებისა და მწვრთნელების აბსოლუტური უმრავლესობა მოწვეული იყო. მერე, ძველი გამგებლების წასვლის შემდეგ, ახლებმა მოწვეულების გაზრდილ მადას ვეღარ გაუძლეს და კატეგორიულად მოთხოვეს „ქამრის მაგრად შემოჭერა". ჩამოსულებმა ამის საპასუხოდ „პირი შეკრეს" და ვარჯიშზე არ ჩადიან. სათქმელია ისიც, რომ ორივე გუნდს არა აქვს გადახდილი სამსაჯო და საინსპექტორო მომსახურების თანხები...

მოკლედ, მდგომარეობა ორივე გუნდში კრიტიკულია და თუ ვითარება არ გაუმჯობესდა, ამ გუნდებს ფეხბურთის ფედერაცია, ალბათ, გათამაშებიდან მოხსნის.

ჯემალ ჭიპაშვილი,
თბილისი — ყვარელი — თელავი

## „ბენდელას თასი"

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა 1992 წელს აფხაზეთში დაღუპული ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში „ბენდელას თასი".

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ რუსთავის „მეტალურგი" და თბილისის „ბენდელა-მორკინალი". თამაშის მსვლელობაში ბურთი არც ერთ მხარეს არ გაუტანია — 0-0, დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანები, აქ კი უფრო ზუსტნი რუსთაველი ფეხბურთელები იყვნენ. პრიზიც მათი საკუთრება აღმოჩნდა.

გაახლდა 1994-95 წლების ევროპის საკლუბო ტურნირების გათამაშება ფეხბურთში. გაიმართა მეოთხედფინალის პირველი შეხვედრები.

## ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩემპიონთა ლიგა

„ბარსელონა" (ესპანეთი) — „პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) 1:1. პირველ წარმატებას ესპანელებმა მიაღწიეს 48-ე წუთზე (კორნეევი). საპასუხო ბურთი ვეამ გაიტანა 54-ე წუთზე. მატჩს ბარსელონის „ნოუ კამპის" სტადიონზე 120.000 მაყურებელი დაესწრო.

„მილანი" (იტალია) — „ბენფიკა" (პორტუგალია) 2:0. მილანელებს საგრძნობი უპირატესობა ეპყრათ თამაშის მსვლელობაში, რაც სიმონეს მიერ მეორე ტაიმში გატანილი ორი ბურთით აღინიშნა.

„ბაიერნი" (გერმანია) — „გეტებორგი" (შვეცია) 0:0. გერმანელმა ფეხბურთელებმა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე ვერაფერი გააწყვეს სტუმრებთან და ფრეს დასჯერდნენ — 0:0. „ბაიერნს" ამ დღეს აკლდნენ მათეუსი, სუტერი, პაპენი, კანი, მაგრამ „გეტებორგსაც" არ ჰყავდა ბორკლენდი და ბლომკვისტი.

„ჰაიდუკი" (ხორვატია) — „აიაქსი" (ჰოლანდია) 0:0. სპლიტის სტადიონზე 34 ათასი მაყურებელი მოწმე იყო იმისა, რომ ამსტერდამის გუნდმა მეტოქის მინდორზე საკმაოდ იოლად მიაღწია ფრეს და ნახევარფინალში გასვლის მთელი იმედები საპასუხო შეხვედრაზე გადაიტანა.

თასების მფლობელთა თასი

„ბრიუგე" (ბელგია) — „ჩელსი" (ინგლისი) 1-0

„სამპდორია" (იტალია) — „პორტუ" (პორტუგალია) 0-1

„არსენალი" (ინგლისი) — „ოსერი" (საფრანგეთი) 1-1

„ფეიენოორდი" (ჰოლანდია) — „სარაგოსა" (ესპანეთი) 1-0

უეფას თასი

„პარმა" (იტალია) — „ოდენსე" (დანია) 1-0

„ლაციო" (იტალია) — „ბორუსია" (გერმანია) 1-0

„ბაიერი" (გერმანია) — „ნანტი" (საფრანგეთი) 5-1

„აინტრახტი" (გერმანია) — „იუვენტუსი" (იტალია) 1-1

მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრები გაიმართება 15 მარტს.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### პირველ გოლამდე!

უცხოეთის საფეხბურთო წრეებში ახლა ბევრს ლაპარაკობენ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის იმ ახალ გადაწყვეტილებაზე, რომ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე შემოღებულ იქნას ახალი წესი. კერძოდ, თუ რომელიმე მატჩში საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა, თამაში გაგრძელდეს არა სრული 30 წუთი, არამედ ერთი რომელიმე მხარის მიერ გატანილ პირველ გოლამდე. თუ ასეთი გოლი გავიდა, თამაში უმალ წყდება და გამარჯვებულიც მაშინვე ვლინდება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გოლი არ იქნა გატანილი, გუნდებმა უნდა ითამაშონ 15-წუთიანი ორ-ორი ტაიმი და მერე შეასრულონ დამატებითი პენალტები.

ფიფამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს. კომისიას მიაჩნია, რომ ასეთი ღონისძიება მნიშვნელოვნად აამაღლებს თამაშის სანახაობრივ მხარეს და საინტერესოს გახდის მას. ფიფა აღნიშნავს, რომ იაპონიაში პროფესიულმა ლიგამ უკვე პირველმა გამოიყენა ასეთი წესი, ხოლო თვით ფიფამ ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი ამ ახალი წესით ჩაატარა.

სხვათა შორის, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ამ სიახლეს „უეცარი სიკვდილი" შეარქვეს.

● მილანის „ინტერის" ახალმა პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსი იგორ შალიმოვისა და ჰოლანდიელი ვიმ იონკის ადგილებს შემადგენლობაში ვერ ხედავს და ამიტომ, როგორც ჩანს, მათთან განშორება მოუწევს. პრეზიდენტს დიდი სურვილი აქვს თავისი გუნდის წევრთა შორის იხილოს სტოიჩკოვი („ბარსელონიდან"), კანტონა და ინსი (ორივე — „მანჩესტერ იუნაიტედიდან"), აგრეთვე ბრაზილიელი რონალდო, რომელიც ამჟამად „ეინდჰოვენში" თამაშობს.



● ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის აველანჟის აზრით, მას ამ პოსტზე წარმატებით შეცვლის ფრანც ბეკენბაუერი. გერმანიაში კი ფიქრობენ, რომ ბეკენბაუერი სულ მალე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი გახდება, ლოთარ მათეუსი კი ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. მაგრამ ეს ჯერ მოსაზრებებია.

● უეფას ერთ-ერთმა კომისარმა, რომელიც 1996 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ინგლისის სტადიონების მდგომარეობას ამოწმებდა, განაცხადა, რომ დღესდღეობით ბრიტანეთში საუკეთესო სტადიონია მანჩესტერის „ოლდ ტრაფორდი", „უემბლი" კი მასთან შედარებით უფრო ტევადია. კომისარმა მოიწონა, აგრეთვე, შეფილდის „ჰილსბორო".

● რვა წელია, რაც მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტის პოსტი ხესუს ჰილს უკავია. ამ ხნის მანძილზე ჰირეულმა პრეზიდენტმა შეცვალა... 17 მწვრთნელი. მისი ბოლო „მსხვერპლი" იყო არგენტინელი ხორხე დ' ალექსანდრო, რომელიც მეორე არგენტინელმა ალფიო ბასილემ შეცვალა. ეს უკანასკნელი, გახსოვთ ალბათ, ერთხანს არგენტინის ნაკრებსაც ავარჯიშებდა. ბასილესთან ერთწლიანი კონტრაქტი კლუბს 650 ათასი დოლარი დაუჯდება.

● ინგლისის ქალაქ სტანფორდის სასამართლომ გაამართლა „ნოტინგემ ფორესტის" მოთამაშე სტენ კოლიმორი, რომელსაც ბრალად ედებოდა ღამის ერთ-ერთ ბარში ორი კაცის გალახვა. სასამართლოზე გაირკვა, რომ ფეხბურთელი ჩხუბის დროს თავს იცავდა.

● საფრანგეთის ეროვნული ჩემპიონატის პირველ და მეორე ლიგის მატჩებს სჯიან მკაცრი და მომთხოვნი მსაჯები — იუწყება ქვეყნის ფედერაციის პრესსამსახური და მოჰყავს ასეთი ციფრები: მიმდინარე სეზონში მსაჯებმა უკვე 209 ჯერ გამოიყენეს წითელი (პირველ ლიგაში — 103, მეორეში — 106) და 2431-ჯერ ყვითელი ბარათი (1086 და 1345). ამას გარდა, ავტომატური დისკვალიფიკაციის გამო ფეხბურთელებს გამოტოვებული აქვთ 395 მატჩი (1891 და 206).

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატისათვის მარსელის სტადიონ „ველოდრომს"



გამოუყოფენ საჭირო თანხებს. საქმე ის გახლავთ, რომ 1937 წელს აშენებული სტადიონი 40 ათას მაყურებელს იტევს იმ დროს, როცა ფიფას წესებით სტადიონი სულ მცირე 60 ათას მაყურებელზე უნდა იყოს გათვალისწინებული. ტრიბუნებზე ადგილების გაზრდას და სხვა სარეკონსტრუქციო სამუშაოებს დასჭირდება 263 მილიონი ფრანკი. მარსელის „ველოდრომი" მსოფლიო ჩემპიონატის რვა მატჩს უმასპინძლებს, მათ შორის, ერთ ნახევარფინალს.

● მადრიდის „რეალის" პრეზიდენტის არჩევნები მოიგო რამონ მენდოსამ, რომელმაც 15 203 ხმა დააგროვა. მან სულ მცირედით აჯობა მეორე კანდიდატს ფლორენსიო პერესს — 14 505 ხმა.

## მწვრთნელი დასაჯეს

ცნობილი გახდა, რომ იტალიის „ინტერის" უფროსი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ჯიაცინტო ფაკეტი დაისაჯა და ამიტომ მორიგ მატჩზე „იუვენტუსთან" ტრიბუნაზე იჯდა მაყურებელთა შორის. ჯ. ფაკეტიმ „ფიორენტინასთან" შეხვედრისას ნერვები ვერ მოთოკა, მინდორზე გამოიჭრა და მსაჯს ჩხუბი აუტეხა.

● მინიფეხბურთის ტურნირში ჟურნალისტებს შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გაზეთ „მხედრიონისა" და გაზეთ „ქართველი ერის" გუნდები.

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 2:2, დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვა „მხედრიონმა". გამოვლინდნენ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებიც: მეკარე არჩილ მორჩილაძე, მცველი — პაატა ბარნოვი, თავდამსხმელი — სლავა სოლოლაშვილი, საუკეთესო ბომბარდირი — კობა ოდიშარია, ყველაზე ჯენტლმენი სპორტსმენი მამუკა კვარაცხელია, საუკეთესო ფეხბურთელი ლევან ჩიქვაიძე.

## ინფორმაცია

● ბათუმში მოეწყო ადგილობრივ დინამოელთა შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან. ფეხბურთელებს გულთბილი მიღება გაუმართა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ.

დაისახა კონკრეტული ღონისძიებები ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის გასავითარებლად, კაპიტალურად შეკეთდება ბათუმის სტადიონი, აიგება სათადარიგო მინდორი, კეთილმოეწყობა გასახდელები.

დინამოელებს საჩუქრად გადასცეს სპორტული ფორმის კომპლექტები.

● 1978-79 წლებში დაბადებულთა ტურნირი, მიძღვნილი ცნობილი მწვრთნელისა და აღმზრდელის შოთა მერკვილაძის პრიზზე, გაიმართა თბილისის „იმედის" დარბაზში, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ნორჩი დინამოელის" პირველი და მეორე გუნდები. გაიმარჯვა პირველმა შემადგენლობამ — 5-2.

1983 წელს დაბადებულთა ფინალში „ვაკემ" 2-1 სძლია „მეტეხს".

## ფიფას ახალი პრეს-ატაშე

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ჰყავს ახალი პრეს-ატაშე, ეს არის ინგლისელი კიტ კუპერი, რომელიც უკვე 25 წელია შვეიცარიაში ცხოვრობს.

ძველი პრეს-ატაშე, ცნობილი გვიდო ტონიონი ამ პოსტიდან გადადგა, ხოლო კ. კუპერის შესახებ იუწყებიან, რომ იგი მარკეტინგის გამოცდილი სპეციალისტია.

ლაპარაკია იმაზეც, რომ გვიდო ტონიონი ვერ შეეწყო ფიფას გენერალურ მდივანს იოჟეფ ბლატერს და სურვილი აქვს მენეჯერის ადგილი დაიკავოს გერმანიის კლუბ „ჰამბურგში".

სპორტული ინტეგრაცია

# ჯილდოები თეირანიდან

„გაზაფხულის 10 დღე" — ასე ჰქვია საერთაშორისო ასპარეზობას სპორტის საწყლოსნო სახეობებში, რომელიც ირანის რევოლუციას ეძღვნება და ტრადიციულად იმართება. ამჯერად თეირანში ბანგლადეშის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთის, ირანის და საქართველოს წარმომადგენლები შეიკრიბნენ. ჩვენს დელეგაციაში წყალბურთელთა გუნდი, 5 მოცურავე და 2 წყალში მხტომელი იყო. მოცურავეთაგან ყველაზე მეტი ჯილდო 15 წლის თბილისელ ზურაბ ბერიძეს ხვდა, მან 5 პირველი და 1 მეორე ადგილი დაიკავა. მოპოვებული მედლების რიცხვით მეორე იყო ასევე ჩვენი მოცურავე ზურაბ ხომასურიძე — 1 „ვერცხლი" და 3 „ბრინჯაო", მესამე — ლაშა მწარიაშვილი — 1 „ოქრო", ერთი — „ბრინჯაო".

წყალხტომში მიხეილ სახიაშვილის და გიორგი ცანავას (3-3 მედლით) მეორე გუნდური ადგილი ხვდათ. წყალბურთელები კი ყაზახეთისა და მასპინძლების შემდეგ III ადგილზე გავიდნენ.

საწყლოსნო სახეობების ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გივი ცქიტიშვილი ირანში ჩვენი მოზარდი სპორტსმენების გამოსვლით კმაყოფილია.

შედეგები, თუ ჩვენს პირობებს გავითვალისწინებთ, მართლაც საიმედოა, მაგრამ სად სრულყონ ოსტატობა მოზარდებმა?

ხათუნა აფაქიძე

# ნბა-ს ახალი ამბები

## ხელმოცარულს — 10 ათასი დოლარი

როგორც ცნობილია, 11 თებერვალს ფინიკსში „ყველა ვარსკვლავის მატჩის" დროს 16 წლის მოსწავლეს იუტას შტატიდან მაიკ ჰობენს საშუალება მიეცა მოეგო ერთი მილიონი დოლარი. ამისათვის მას, ერთი ტყორცნით სამქულიანი ზონიდან ბურთი კალათში უნდა ჩაეგდო. ჰობენი მაინც და მაინც კარგი სნაიპერი ვერ გამოდგა — მის მიერ ნატყორცნმა ბურთმა ვერც კი მიაღწია კალათამდე. მაგრამ ჟიურიმ გამოიჩინა დიდსულოვნება და ჰობენს ათი ათასი დოლარი აჩუქა, ოღონდ ერთი პირობით — ეს ფული უნდა მოხმარდეს მის სწავლა-განათლებას კოლეჯში.

## ალბათ, მაინც ლენი უილკინსი

ვინ იქნება ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა ნაკრების („დრიმ ტიმის") მწვრთნელი ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე 1996 წელს? ამას გაარკვევს სპეციალისტთა ათკაციანი კომისია, რომლის შემადგენლობა ნბა-ს დირექტორატმა უკვე შეარჩია. მაგრამ დღეს, ჟურნალისტთა დიდი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ამ საპატიო პოსტს ჩაიბარებს „ატლანტის" მთავარი მწვრთნელი ლენი უილკინსი.

იგი ერთხელ უკვე მუშაობდა ნბა-ს ვარსკვლავთაგან დაკომპლექტებულ ნაკრებთან. ეს იყო ბარსელონის ოლიმპიადის დღეებში 1992 წელს. მაგრამ უილკინსს მაშინ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდა განკუთვნილი, ვინაიდან „ოცნების გუნდის" მთავარი მწვრთნელი ჩაკ დეილი იყო. მას შემდეგ უილკინსმა მეტი ავტორიტეტი მოიხვეჭა და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელიც გახდა. სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინ მან ნბა-ს რეკორდი დაამყარა — თავისი არც ისე ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ყველაზე ბევრი გამარჯვება მოიპოვა. ამავე დროს უილკინსი ნბა-ს მწვრთნელთა ასოციაციის პრეზიდენტია, რაც მას საშუალებას აძლევს საქმიანი კონტაქტები დაამყაროს კოლეგებთან.

## სამი პრეტენდენტი

ლიგის საუკეთესო კალათბურთელის განსაზღვრა სეზონის შედეგების მიხედვით მოხდება მხოლოდ მაისში, მანამდე კი ცნობილია სამი პრეტენდენტი — სუპერცენტრალური თავდამსხმელი. ესენია შარშანდელი ლაურეატი ხაკიმ ოლაჯიუვონი („ჰიუსტონი"), დევიდ რობინსონი („სან-ანტონიო") და შაკილ ო'ნილი („ორლანდო").

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის თაობაზე თავად მოთამაშენი. „ფილადელფიის" გამთამაშებელი დან ბარასი, მაგალითად, უპირატესობას ანიჭებს შაკილ ო'ნილს და მიაჩნია იგი „ჩიკაგოს" ფორვარდის სკოტი პიპენის ერთადერთ რეალურ კონკურენტად. რეჯი მილერის („ინდიანა") აზრით საუკეთესო კალათბურთელის სახელი უნდა მიენიჭოს ორ კალათბურთელს ერთდროულად — ჯონ სტოკტონსა და კარლ მელოუნს (ორივე — „იუტადან"). თავად შაკილ ო'ნილს ნბა-ში უძლიერეს კალათბურთელად მიაჩნია ხაკიმ ოლაჯიუვონი.

## ცეროდენა ბაგსი ბიგზი — რეკორდსმენი

ნბა-ში რომ ათასგვარი რეკორდების რეგისტრაცია ხდება, ყველამ კარგად იცის. ერთ-ერთი ასეთი რეკორდის მფლობელი გახდა „შარლოტ ხორნეტსის" გამთამაშებელი ბაგსი ბიგზი, რომელიც ლიგაში ყველაზე ტანმორჩილი მოთამაშე აღმოჩნდა. თავისი 159 სანტიმეტრის მიუხედავად, ამ კალათბურთელს დიდი სარგებლობა მოაქვს გუნდისათვის.

## განხეთქილების მიზეზი — სიძუნწე

პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთი აღიარებული სუპერვარსკვლავი „ჩიკაგო ბულზის" ფორვარდი სკოტი პიპენი უმოკლეს დროში ალბათ დატოვებს თავის კლუბს. მას სურს გაწყვიტოს ყოველგვარი ურთიერთობა ჩიკაგოს გენერალურ მენეჯერთან ჯერი კრაუზესთან, რომელიც ცნობილია თავისი სიძუნწითა და ხელმომჭირნეობით. სხვათა შორის, სწორედ ამის მიზეზით დატოვეს კლუბი სხვადასხვა დროს მაიკლ ჯორდანმა, ჰორას გრანტმა და ბილ კარტრაიტმა. პიპენი უკმაყოფილოა იმით, რომ შემოსავლის მხრივ „ჩიკაგოში" მესამეა, ნბა-ში კი მხოლოდ მეორმოცე, რაც მის რეალურ შესაძლებლობებს, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება.

# დავით ჭავჭანიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოცდაათი წლისა გარდაიცვალა დავით ჭავჭანიძე, კაცი, რომელმაც თავისი კვალი დაატყო ქართულ პერიფერიულ ფეხბურთს. ჩვენი პერიფერიული ფეხბურთი ხომ იმ პატარა ნაკადულების ფუნქციას ასრულებს დიდ მდინარეებს რომ ავსებენ და ამდენად ნაკლებად აქვთ საკუთრივ დიდ ასპარეზზე გასვლის შანსი. ამ მხრივ გამონაკლისი იყო ქობულეთის „კოლმეურნეს" (ახლანდელი „შუქურა") დიდი გამარჯვება, რომელიც მან ორმოცდაათიან წლებში მოიპოვა სოფლის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში. სწორედ ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის დ. ჭავჭანიძეს. მისი თავკაცობით გუნდმა გაიმარჯვა ისეთ პრესტიჟულ ასპარეზობაში, სადაც რუსეთის „უროჟაისა" და ყოფილი რესპუბლიკების უძლიერესი გუნდები იბრძოდნენ გამარჯვებისათვის.

დ. ჭავჭანიძემ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიური ხონის კოლმეურნეობაში დაიწყო აგრონომად მუშაობა, თამაშობდა იქაურ გუნდში, რომელიც საქართველოს პირველობის მესამე ჯგუფში გამოდიოდა და მალე მეორე ჯგუფის საგზურს დაეუფლა.

მისი მთელი შესაძლებლობანი კი ქობულეთის გუნდში გამოვლინდა (იქ ჩაის ფაბრიკის უფროს ტექნოლოგად მიიწვიეს და პენსიაზე გასვლამდე იმუშავა), ამის წყალობით გუნდი დიდი ალმავლობით გამოდიოდა რესპუბლიკის ჩემპიონატში და კოლმეურნეთა საკავშირო სპარტაკიადაში.

სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა კოლექტივს და მისი ხელმძღვანელობით აჭარის ამ კუთხეში არაერთი კარგი ფეხბურთელი აღიზარდა.

დ. ჭავჭანიძის, ამ გულთბილი მეგობრისა და აღმზრდელის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ფეხბურთის მოყვარულთა შორის.

ხონის ვეტერანი ფეხბურთელები და სპორტის მუშაკები

გახსენება

# ილია ლობჟანიძე



ორმოცი დღე გასრულდა, რაც ჩვენთან აღარ არის ილია ოქროპირის ძე ლობჟანიძე. წავიდა ამქვეყნიდან სიკეთით, პატიოსნებით აღსავსე კაცი, ვეტერანი ფეხბურთელი, მწვრთნელი, აღმზრდელი, ღირსშესანიშნავი პიროვნება, რომლის სახელთან ბევრი რამაა დაკავშირებული ქართული ფეხბურთის განვითარებაში.

დაწყებითი განათლება მიიღო თბილისში, აქვე დაამთავრა ჯერ ინდუსტრიული ტექნიკუმი, მერე სატყეო ინსტიტუტი, შემდეგ, სამამულო ომის წლებში, დაამთავრა თელავის საარტილერიო სასწავლებელი, მიიღო ოფიცრის წოდება. შემდგომში გაიარა ფეხბურთის მწვრთნელთა უმაღლესი კურსი.

როგორც ფეხბურთელი ჩამოყალიბდა 1943 წლიდან, გამოდიოდა თბილისის „ლოკომოტივში" (უმაღლესი საკავშირო ლიგა), იყო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის შექმნის ერთ-ერთი მესაფუძვლე, მისი კაპიტანიც, მწვრთნელიც, აქტიური ორგანიზატორიც. შემდგომში გახლდათ ქუთაისის „ტორპედოს", თბილისის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი, როგორც სამხედრო პირი წვრთნიდა ოდესის არმიის სპორტკლუბის გუნდს. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით აღიზარდა საქვეყნოდ აღიარებული ფეხბურთელების მთელი პლეადა, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს, უკრაინის დამსახურებული მწვრთნელის წოდება, მრავალი სამთავრობო მედალი და ორდენი. მან მთელი თავისი საქმიანობის მანძილზე გაიყოლია შრომის სიყვარული, დაუშრეტელი ენერგია, თავდადება, მოიპოვა საყოველთაო პატივისცემა. აქტიურად მუშაობდა საქართველოსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციებში, თავს არ ზოგავდა ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების წინსვლისა და პროგრესისათვის.

ილია ლობჟანიძე იყო აღიარებული პრაქტიკული ფეხბურთელი და მწვრთნელი, საზოგადოებრივი მოღვაწე, ღირსეული მოქალაქე, პრინციპული ადამიანი, შესანიშნავი მეოჯახე, უტყუარი მეგობარი, კვალიფიციური სპეციალისტი და ჭეშმარიტი ინტელიგენტი. მისი ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩვენს გულებში.

ოჯახი, ახლობლები, მეგობრები.

# მილიონი დოლარი რუსეთის ეოკს

ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტი მზადაა გადაუხადოს რუსეთს მილიონი დოლარი სპორტის დარგში თანამშრომლობისათვის. ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების შტაბის ხელმძღვანელის მოადგილის ანატოლი კოლესოვის აზრით, ეს თანამშრომლობა ითვალისწინებს კონსულტაციას წვრთნის მეთოდიკაში, ბიომექანიკურ გამოკვლევებში, საწვრთნელი პროცესის დაგეგმვასა და მართვაში. ავსტრალიელებს დახმარება სჭირდებათ კრივში, თავისუფალ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, ძიუდოში, მძლეოსნობასა და სროლაში.

# „ინტერსპორტლოტო" იტყობინება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კორპორაცია „ინტერსპორტლოტო" იტყობინება, რომ 1995 წლის 15 აპრილიდან კორპორაცია „ინტერსპორტლოტო" ლიკვიდირებულ იქნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ დაინტერესებულ იურიდიულ და კერძო პირებს 1995 წლის I აპრილამდე მოახდინოთ ყველა ფინანსური ანგარიშსწორება.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ „ინტერსპორტლოტოს" მიერ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

ყველა საკითხზე, რომელიც თქვენ გაინტერესებთ, გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ქ.თბილისი 380019, რ.აგლაძის (ყოფილი ელიავას) 26, კორპორაცია „ინტერსპორტლოტო", ტელეფონი 34-51-72.

„ინტერსპორტლოტოს" სალიკვიდაციო კომისია

საქართველოს პარლამენტის აპარატი და სპორტისა და ტურიზმის კომისია თანაგრძნობას უცხადებენ ამავე კომისიის თავმჯდომარეს ბეჟან ხურციძეს ძმის

გურამ ხურციძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობენ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარეს ბეჟან ხურციძეს ძმის

გურამ ხურციძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რაგბის კავშირი და ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია სამძიმარს უცხადებენ ირაკლი კიზირიას დედის

ოლლა

გეგელია-კიზირიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს წარსულში სახელგანთქმულ მორაგბეს ირაკლი კიზირიას დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია თანაუგრძნობენ ამავე ფედერაციის გენერალურ მდივანს ჯუმბერ ლოლაძეს ძმის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და სამბოს ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს სამბოში ანზორ ზურაბაულს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თბილისის საცხენოსნო ბაზა და ვამეხ გაჩეჩილაძის სახელობის პროფესიონალ და მოყვარულ ცხენოსანთა კლუბი „ვამბა" თანაგრძნობას უცხადებენ ჯუმბერ ლოლაძეს ძმის გარდაცვალების გამო.

ძიუდოს რესპუბლიკური ფედერაცია და ძიუდოს სპორტული კლუბი „მართვე-21" თანაგრძნობას უცხადებენ ევროპის ჩემპიონს ძიუდოში ზაზა დაბრუნდაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

„ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გაზეთის თანამშრომელს ოთარ ნოზაძეს დის

ნელი ნოზაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და სამბოს ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ექვთიმიშვილს დისშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს გიორგი კაკაბაძეს შვილის

ნატოს

გარდაცვალების გამო.

# სასამართლოს აზრით, ვიბერგს მეტი თანხა უნდა მოეთხოვა

შვეციის საუკეთესო სპორტსმენმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა სამთო-სათხილამურო სახეობებში პერნილა ვიბერგმა სტოკჰოლმის ჟურნალს „აქტუელ რაპორტს" უჩივლა სასამართლოში. საქმე ის გახლავთ, რომ ჟურნალმა თავის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილ ფოტომონტაჟზე პერნილა წარმოადგინა, როგორც სექსუალური ორგიის მონაწილე. დაზარალებულის ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ ნახევარმილიონიანი კომპენსაცია, რასაც სპორტსმენი ითხოვს, არ შეესაბამება მიყენებულ მორალურ ზარალს და რომ ვიბერგს გაცილებით უფრო დიდი თანხა უნდა მოეთხოვა.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე